



აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის

შეხვედრის ოქმი

თარიღი: 15 მარტი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 19:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი დია საზოგადოება-საქართველო

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია (კოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
(მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი)
3. თამარ კოვზირიძე - ცოდნის ფონდი
4. ლილი ბეგიაშვილი - თბილისის პოლიტიკის ანალიზის ცენტრი
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"

ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" -ს წარმომადგენელმა და დამსწრეებს მოკლედ გააცნო თავისი მოსაზრება პლატფორმის ფარგლებში აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის შექმნის მნიშვნელობაზე. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის განვითარებას როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან. ევროგაერთიანების დახმარების ფარგლებში 40 მილიონი ევრო არის გამოყოფილი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

პროცესში ჩართულია როგორც სოფლის მეურნეობის ასევე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელიც დამოუკიდებელ პროგრამებს ახორციელებს.

იგეგმება სოფლად საკონსულტაციო ცენტრების შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გზების გაყვანა და სხვა. სოფლის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს ასევე სოციალური საკითხების მოგვარებასაც. კერძოდ, სოფლის კლუბების, სტადიონების მშენებლობას, საბავშვო ბაღების კეთილმოწყობას, გზების გაყვანას, წყალგაყვანილობის აღდგენას და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მაღალმთიან რეგიონებს. ასოციაცია ”ქალი და ბიზნესი”-ს წარმომადგენლის აზრით, ქვეჯგუფმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ორივე სამინისტროსთან და მიაწოდოს მათ რეკომენდაციები იმისთვის, რომ სწორი მიმართულებით მოხდეს შემოსული ინვესტიციების ათვისება. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე მონიტორინგის განხორციელება უკვე მიმდინარე პროგრამებსა და პროექტებზე.

ამის შემდეგ ქვეჯგუფის კოორდინატორმა დამსწრეებს ფართო პრეზენტაციის სახით წარუდგინა ქვეჯგუფის მიზნები და ამოცანები:

ქვეჯგუფის მიზნები

- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარე რეფორმებში ქვეჯგუფის წევრი ორგანიზაციების ჩართულობის ამაღლება;
- ქვეჯგუფის აქტიური მონაწილეობა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისა და აგრარული პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
- სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის და შემუშავებული სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით რეკომენდაციების, წინადადებების შემუშავება და მის განხორციელებაზე მონიტორინგი;
- დისკუსიების, შეხვედრების, მრგვალი მაგიდების და კონფერენციების ორგანიზება, საინფორმაციო და პუბლიცისტური საქმიანობა;
- გამოცდილების გაზიარების მიზნით თანამშრომლობის და პარტნიორული კონტაქტების დამყარება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში შემავალი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმების აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფებთან.

ქვეჯგუფის ამოცანები

- საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მიზნით დარგობრივი ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
- სხვადასხვა მიმართულების ფერმერული კოოპერატივების, კლასტერების და ფერმერული ჯგუფების ხელშეწყობა ტრენინგების, სასწავლო პროგრამების შემუშავების გზით;
- სოფლის მეურნეობის საკითხებზე კოალიციური ერთობლივი საგრანტო პროექტების შემუშავება;

- კვლევითი და მონიტორინგის, შეფასებისა და ანალიზის, წლიური ანგარიშების პუბლიკაციების მომზადება და კოალიციური პროექტების ინიცირება;
- მიკრო-საფინანსო სექტორის განვითარების მიზნით კონცეფციის მომზადება და რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერება;
- საგადასახადო და სადაზღვევო სისტემების ლიბერალიზაციის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;
- სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიზნით ინტეგრირებული სოფლის მოდელის ინიცირება;
- განახლებადი ენერჯის, ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების, პოპულარიზაციის საკითხებზე პილოტ-პროექტების შემუშავება;
- დამწყებ ფერმერთა (ფერმერ ქალთა და ახალგაზრდა ფერმერთა), კონფლიქტური რეგიონების ფერმერთა ხელშეწყობის მიზნით საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება და საპარლამენტო კომიტეტებში წარდგენა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ფერმერთა ჩართულობა;

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა ქვეჯგუფმა დაიწყო მუშაობა სამოქმედო გეგმაზე. გადაწყდა, ასევე რომ ქვეჯგუფის წევრები 30 მარტამდე ელექტრონულად გამოაგზავნიან თავიანთ წინადადებებს, რომლებიც აისახება საბოლოო გეგმაში.

ორსაათნახევრიანი განხილვის შემდეგ ქვეჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია